სუპერსტარტი 2018
36 შეკითხვა
საკუთარი
მოწოდების
გამოსავლენად
www.mebonia.com

36 სუპერეფექტური შეკითხვა საუთარი მოწოდების გამოსავლენად

ჩვენ არ ვიცით ვინ შეიძლება გავხდეთ მანამ, სანამ არ გავიგებთ, თუ რისი კეთება შეგვიძლია.

დააკვირდით ბუნებას. უფალმა შექმნა სამყარო ჰარმონიული და მთლიანი. თითოეულ ცხოველს აქვს განსაზღრული დანიშნულება და „ტალანტი“, თითოეულ მცენარეს გააჩნია გარკვეული დანიშნულება.

სწორედ ასე მიენიჭა თითოეულ ადამიანს დაბადებიდანვე საკუთარი ტალანტები და ბუნებრივი შესაძლებლობები, საკუთარი მისწრაფებები და საქმიანობის წყურვილი. ამიტომ, ყოველი გაცნობიერებული ადამიანისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი დანიშნულების პოვნა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ქმედება, რომელსაც აკეთებს ყოველი წარმატებული ადამიანი - არის საკუთარი მოწოდების, საკუთარი ტალანტების გაცნობიერება და მათი მიღება.

თითოეულ ადამიანი მოვიდა ამ ქვეყნად გარკვეული მისიით. თითოეულ ადამიანში არის რაღაც განსაკუთრებული, რაღაც დიადი, რისთვისაც სამყაროს სჭირდება მისი აქ ყოფნა, მაგრამ თუ რა კონკრეტულად, ეს არის საიდუმლო, რომელიც თითოეულმა თავად უნდა ამოხსნას.

გთავაზობთ 36 შეკითხვისგან შემდგარ სისტემას, რომელიც დაგეხმაებათ გაერკვეთ თქვენს მოწოდებაში, თქვენს დანიშნულებაში.

სისტემის ავტორი არის ცნობილი ებრაელი მილიონერი და ბიზნესტრენერი ისააკ პინტოსევიჩი.

მაშ ასე, დაიწყეთ თანმიმდევრობით პასუხების გაცემა ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე.

I. კარგად დაფიქრდი და უპასუხე:

1. როგორ შეიცვლებოდა შენი ცხოვრება, ზუსტად რომ იცოდე თუ რა ტალანტები გაგაჩნია დაბადებიდანვე?

2. შენ რომ ზუსტად იცოდე, რა არის შენი დანიშნულება, როგორ მოიქცეოდი?

3. რა შეიცვლებოდა შენც ცხოვრებაში, რომ შეგეძლოს შენი ჭეშმარიტი მიზნების ეფექტურად მიღწევა?

4. როგორ შეიცვლებოდა ასეთ შემთხვევაში შენთვის ძვირფასი, ახლობელი ადამიანების ცხოვრება?

5. რისი გაკეთებაა ცხოვრებაში ახლა შენთვის მნიშვნელოვანი რომ მიიღო შენი ოცნების ცხორება?

6. რა უნდა ისწავლო შენ ამისთვის?

7. რა შეგრძნებები გექნება, რა ემოციები, როცა ამას მიაღწევ?

8. რა და ვინ შეიძლება ამაში დაგეხმაროს?

9. როგორ მიხვდები, რომ ეს ზუსტად ის ცხოვრებაა, რომელზეც ოცნებობდი?

II. თუ შენ ახლა იმის ძალაც არ გქვს რომ იოცნებო, შესაძლებელია უბრალოდ გადაიღალე და არ გაქვს საკმარისი ენერგია, რომ მიიღო შენი ოცნება და მითუმეტეს მოახდინო მისი რეალიზება.

10. თუ შეძლებ რომ დაისვენო და აღიდგინო ფიზიკური, გონებრივი, სულიერი ენერიგები, მაშინ რის გაკეთებას მოისურვებდი? რითი დაკავდებოდი?

11. რისი კეთება გიყვარს ყველაზე მეტად, როცა გაქვს საკმარისი ენერგია და გამოგიჩნდება თავისუფალი დრო?

12. რის კეთებას მოაქვს შენთვის სიამოვნება უკვე წელიწადზე მეტია?

13. რა ტალანტებს, უნარებს ავლენ როცა საყვარელი საქმით ხარ დაკავებული?

III. ახლა კი მოდი უფრო ჩავუღრმავდეთ:

14. რითი იყავი ყველაზე მეტად გატაცებული ბავშვობაში, 3-დან 7 წლამდე ასაკში?

15. რითი იყავი აღტაცებული 7 - დან 14-16 წლის ასაკამდე? გაიხსენე მაშინდელი ოცნებები და ჩაიწერე ისინი.

16. რისი კეთება გიყვარს ახლა, რას მოაქვს შენთვის სიამოვნება და რა შთაგაგონებს?

17. წინა პუნქტში ჩამოთვლილთაგან რა მოსწონთ შენს მეგობრებს და ნაცნობებს, რა სარგებლობს მათში პოპულარობით?

18. რისთვის გაქებენ შენი ნაცნობები ან/და კლიენტები?

19. რაზე შეგიძლია საათობით ისაუბრო?

20. ახლა კი დაფიქდი - არის ისეთი რამე, რაც არ დაგისახელებია, მაგამ გინდა რომ ისწავლო?

21. დაფიქრდი, მზად ხარ ამ საქმის შესწავლას დაუთმო დღეში საშუალოდ ერთი საათი მაინც?

IV. გადაიკითხე შენი პასუხები:

22. რა არის მათში საერთო? შენი რომელი თვისებები მეორდება შეიგადაშიგ?

23. აბა, რა გახდა გასაგები? რა გაცნობიერებები მოგივიდა, სანამ ამ შეკითხვებს პასუხობდი?

24. რას გრძნობდი კითხვებზე პასუხის გაცემისას?

V. ახლა კარგად დაფიქრდი და ამ კითხვებზე დაყრდნობით გამოყავი ხუთიდან ათამდე პროფესია ან საქმიანობის სფერო, რომლებმაც განსაკუთრებით დაგაინტერესა

25. რა პროფესიებია ან საქმიანობებია ისინი?

26. კიდევ რა სოციალური როლები შეგიძლია დაუკავშირო ზემოთ გამოვლენილ ტალანტებს და უნარებს?

VI. თითოეული სასურველი როლისთვის წარმიდგინე, რომ შენ უკვე ხარ ასეთი ადამიანი.

27. რას აკეთებ შენ კონკრეტულად ამ საქმიანობის სფეროში?

28. რითი ხარ დაკავებული?

29. რას ხედავ, რა გესმის და რას გრძნობ?

VII. ახლა კი გაეცი პასუხი ქვემოთ დასმულ კითხვებს და შეაფასე ეს პროფესიები (საქმიანობები) 1-დან 10-მდე ქულით (სადაც 1 - ნაკლებად მისაღები ვარიანტია, 10 - ყველაზე მეტად მისაღები):

30. შემიძილია ვიყო უფრო ეფექტური თუ ამ საქმით დავკავდები?

31. შემიძლია თუ არა ეს ვაკეთო სხვებზე უკეთესად?

32. რა გამომდის და რა მეძლევა მე განსაკუთრებით მარტივად და ადვილად?

33. ამაში არის რამე ისეთი, რომლის კეთებაც ახლა შემიძლია, მაგრამ არ ვაკეთებ?

VIII. ახლა კი უპასუხე შეკითხვებს იმ სამი როლისთვის, რომლებმაც სხვებზე მეტი ქულა მოაგროვეს:

34. რა მაკავებს დღეს იმისგან, რომ ამ საქმით დავკავდე?

35. რატომ ვიქცევი ასე, რა სრგებელს ვიღებ იმისგან რომ არ ვაკეთებ ამას?

36. როგორ შეიცვლება ჩემი და ჩემთვის მნიშვნელოვანი ადამიანების ცხოვრება, თუ მე ბოლოს და ბოლოს დავიწყებ ამ საქმიანობას?

ბოლოს კი მინდა შეგახსენოთ უილიამ ბერკლის ფრაზა:

ადამიანის ცხოვრებაში არის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი დღე: პირველი - დღე როცა დაიბადა, და მეორე - როცა გაიგო თუ რისთვის.

გისურვებ შენი მეორე დაბადების დღე მალე დამდგარიყოს.

შევხვდებით მწვერვალზე!

სიყვარულით და მადლიერებით, ხვიჩა მებონია.